დანართი N5

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნისა და საბაზო საფეხურის VII კლასის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით სარგებლობის უფლების შეძენისათვის გადასახდელი ჰონორარის ოდენობა და გადახდის სტრუქტურა

#	საგანი	კლასი	A	B	G1	G2	G3	D
1	ქართული ენა და ლიტერატურა	VII	1 x 10000	0	3	0	0	0.3
2	მათემატიკა	VII	1 x 10000	0	3	0	0	0.1
3	ისტორია	VII	1 x 15000	0	3	0.3	0	0.1
4	გეოგრაფია	VII	1 x 15000	0	3	0.3	0	0.1
5	მოქალაქეობა	VII	1 x 10000	0	3	0	0	0.1
6	ბიოლოგია	VII	1 x 10000	0	3	0	0	0.1
7	ფიზიკა	VII	1 x 10000	0	3	0	0	0.1
8	პირველი უცხოური ენა (ინგლისური)	VII	1 x 15000	1500	3	0.3	0	0.1
9	მეორე უცხოური ენა (ფრანგული, გერმანული, რუსული)	V-VI	2 x 15000	3000	3	0.3	0	0.1
		VII	1 x 15000	1500	3	0.3	0	0.1
10	ქართული, როგორც მეორე ენა	I-IV	4 x 15000	6000	2.5	0.25	0	0.25
		V-VI	2 x 15000	3000	3	0.3	0	0.3
		VII	1 x 10000	1500	3	0	0	0.3
11	სომხური, რუსული, აზერბაიჯანული, როგორც მშობლიური ენა და ლიტერატურა	I-IV	4 x 15000	0	2.5	0.25	0	0.1
		V-VI	2 x 10000	0	3	0	0	0.1
		VII	1 x 10000	0	3	0	0	0.1
12	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	VII	1 x 10000	0	3	0	0	0.1
13	მუსიკა	VII	1 x 10000	1500	3	0	0	0.1
14	ფიზიკური აღზრდა	V-VI	2 x 10000	0	0	0	2.5	0
15	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	VII	1 x 10000	0	0	0	2.5	0
16	აფხაზური ენა და ლიტერატურა	I-IV	4 x 15000	0	2.5	0	0	0.25
		V-VI	2 x 15000	0	3	0	0	0.3
		VII	1 x 10000	0	3	0	0	0.3

შენიშვნა:

1 **კომპონენტების ანოტაცია:**

1.1. **კომპონენტი A** - საბაზისო ჰონორარი, რომელიც წარმოადგენს ფიქსირებულ, ერთჯერად გასაცემ თანხას, რომელიც ეფუძნება სახელმძღვანელოს/სერიის შეფასების შედეგებს.

1.2. **კომპონენტი B** - დამატებითი ფიქსირებული ჰონორარი კომპლექტში შემავალი მასწავლებლის წიგნის ელექტრონული რესურსისათვის.

1.3. **კომპონენტი G1** - მაქსიმალური ზღვრული ჰონორარი მოსწავლის წიგნის ნაბეჭდი ეგზემპლიარისათვის.

1.4. **კომპონენტი G2** - მაქსიმალური ზღვრული ჰონორარი მოსწავლის რვეულის ნაბეჭდი ეგზემპლიარისათვის.

1.5. **კომპონენტი G3** - მაქსიმალური ზღვრული ჰონორარი მასწავლებლის წიგნის ნაბეჭდი ეგზემპლიარისათვის იმ საგნებში/კლასებში, რომელთა კომპლექტი წარმოდგენილია მხოლოდ მასწავლებლის წიგნით.

1.6. **კომპონენტი D** - ჰონორარი გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოში შემავალი ნაწარმოების საავტორო უფლებებისათვის იმ შემთხვევაში, თუ საავტორო უფლების მფლობელი თავად არ არის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის ან ამ სახელმძღვანელოში შემავალი ნაწარმოების ავტორი. ამ სახის ჰონორარი გაიცემა საავტორო უფლების მფლობელის მიერ ამ უფლებით (ანაზღაურების სანაცვლოდ) სარგებლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის (მესამე პირებთან გაფორმებული) წარმოდგენის შემთხვევაში.

2 წარმოდგენილი ჰონორარი (გარდა იმ სახელმძღვანელოებისა, რომელთა კომპლექტი წარმოდგენილია მხოლოდ მასწავლებლის წიგნით) მოიცავს მასწავლებლის წიგნის ნაბეჭდი ეგზემპლიარისათვის გასაცემ ჰონორარსაც.

3 საავტორო უფლებების შესყიდვის ფასის (კომპონენტი "G1", "G2", "G3") დადგენა განხორციელდება გრიფის მინიჭების შემდეგ, საკონკურსო წესით.

4 საავტორო უფლების შესყიდვის ფასის (კომპონენტი „G1“) გადახდა განხორციელდება შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულების დადების შემდეგ ავანსის სახით, თითოეული კლასის მოსწავლის წიგნის 5000 ეგზემპლიარზე გაანგარიშებით. აღნიშნული გადახდა მხედველობაში მიიღება (გამოიქვითება) ყოველწლიური ჰონორარის ოდენობიდან.

5 ჰონორარი წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში და ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახადს.